

მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

მართლმადიდებელ და რომაულ-კათოლიკურ (პაპისტურ) სარწმუნოებათა შორის განსხვავება ეხება ქრისტიანული სარწმუნოების თვით დედაარსს და იმდენად არსებითია, რომ პაპიზმი და მართლმადიდებლობა ორ სხვადასხვა რელიგიად წარმოგვიდგება. მართლმადიდებლობა რწმენას იმ სახით ინახავს, როგორი სახითაც იგი უფალმა იესო ქრისტემ მოგვცა, იქადაგეს მოციქულებმა, განმარტეს მსოფლიო კრებებმა, წმინდა მამებმა და ეკლესიის მოძღვრებმა. ქრისტიანობა ღვთივგამოცხადებულ რელიგიად გვევლინება და ადამიანთა მოსაზრებებით მასში ცვლილებების შეტანა სცვლის ღვთივ ბოძებულ ჭეშმარიტებას. იესო ქრისტემ მოწაფეებს თავისი მოძღვრების უცვლელად დაცვა უანდერძა. მოციქული პავლე ამბობს: “არამედ დაღათუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეციით განხარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი-იგი განხარეთ თქუენ, შეჩვენებულ იყავნ” (გალ. 1.8). რომის ეკლესიამ, ამ ცნების საპირისპიროდ, შეცვალა სახარებისეული ჭეშმარიტი სწავლება და მრწამსი, დოგმატი სული წმიდის მამისაგან წარმომავლობის შესახებ, მიიღო პაპის უცდომელობის დოგმატი, გამოაცხადა იგი ღმერთის ნაცვალად დედამიწაზე, ასევე მიიღო სხვა ცრუ სწავლებანი, რითაც დაარღვია ეკლესიის ერთიანობა და მოციქულებრივი მემკვიდრეობა, განეშორა ღვთის ეკლესიას და იქცა მიწიერ ორგანიზაციად თავისი ამბიციური მიზნების განსახორციელებლად - დაიკავოს მთელ ქრისტიანულ სამყაროში უპირველესი და ხელმძღვანელი როლი და დაიმორჩილოს ყველა ქრისტიანი, პირველ რიგში – მართლმადიდებლები; ხოლო XX ს-ის მეორე ნახევრიდან კი მისი მიზანია განდეს მსოფლიოს ყველა ძირითადი რელიგიის მიმდევართა „სულიერი“ ბელადი და წინამძღოლი. ცდომილობათა გამო პაპიზმი, როგორც მწვალებლობა, ჭეშმარიტი ეკლესიის მიერ ანათემას იქნა გადაცემული და ეს ანათემა დღესაც ძალაშია.

პაპიზმის ანტიეკლესიურობა და ანტიქრისტიანულობა თვალნათლივ ჩანს:

1. პაპიზმის მიერ უარყოფილია: ყოვლადწმიდა სამება, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი; საღვთო რჯულის პირველი მცნება; იესო ქრისტე, როგორც სამყაროს ერთადერთი მაცხოვარი და კაცობრიობის მსაჯული, მხსნელი და მესია; საღმრთო გამოცხადება; ღვთაებრივი ზეშთაგონება; წმიდა სამების განუყოფელობა; ღმერთის ყოვლადსამართლიანობა; ჭეშმარიტება ქრისტეს ეკლესიის შესახებ; ანტიქრისტე, როგორც ცრუ მესია. შერყენილი და დამახინჯებულია ღმერთის განგებით კაცობრიობის ხსნა და განხორციელებული ძის მისია. უარყოფილია ჭეშმარიტი სწავლება: მომავალი საუკუნო ცხოვრების, როგორც ღმერთის ცათა სასუფეველის შესახებ; იესო ქრისტეს, როგორც ღმერთკაცის შესახებ; მისი განხორციელება სულიწმიდისა და ქალწული მარიამისაგან; მისი ყოვლადწმიდა დედის, როგორც ღვთისმშობლისა და მარადქალწულის შესახებ.
2. პაპიზმმა შეცვალა სახარებისეული სწავლება და დოგმატი სულიწმიდის გამომავლობის შესახებ, რითაც დაამცირა სულიწმიდის მნიშვნელობა.
3. იგი აცხადებს, რომ ეკლესიის თავი არის პაპი. ჭეშმარიტი სწავლებით ეკლესიის თავი თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტეა. მცდარია პაპისტების მტკიცება, თითქოს უფალმა პეტრე მოციქული, შემდგომში ქალაქ რომის ეპისკოპოსი, დაადგინა ეკლესიის მეთაურად და ღმერთის მოადგილედ დედამიწაზე. მოციქულთათვის იესო ქრისტეა ერთადერთი მოძღვარი და არა რომელიმე მოციქულთაგანი. ქრისტე ეუბნება მოციქულებს: „ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბბი, რამეთუ ერთი არს მოძღვარი თქუენი – ქრისტე, ხოლო თქუენი ყოველნი ძმანი ხართ და მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამა თქუენი, რომელ არს ცათა შინა“ (მათე. 23. 8-9). თავად მოციქულები პეტრეს არ თვლიდნენ თავიანთ წინამძღვრად. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ იერუსალიმში მოციქულთა კრებას წარმართავდა არა პეტრე მოციქული, არამედ იაკობი. (საქმე მოც. 15.13). რომის პაპს არც მოციქულთა შემდეგ პერიოდში თვლიდნენ მსოფლიო ეკლესიის წინამძღვრად.

მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, რომლებიც წარმოადგენენ მთელი ეკლესიის ხმას, (და არა მხოლოდ რომელიმე ერთი ეკლესიის ხმას), რომის პაპს პატრიარქების თანაბარი უფლებები განესაზღვრა. ღმერთკაცი იესო ქრისტე, როგორც განკაცებული ღმერთი, ერთდროულად ყველგან და ყველასთან მყოფია, მას არავითარი ნაცვალი და მოადგილე დედამიწაზე არ სჭირდება, რადგან თვითონაა ეკლესიის თავი.

4. 1870 წლის ივლისში პაპ პიუს IX-ის მიერ მოწვეულმა ვატიკანის I-მა კრებამ მიიღო დოგმატი „პაპის უცდომელობის შესახებ“ (533 ხმით 2-ის წინააღმდეგ), რომლის მიღებასაც დიდი ხნის განმავლობაში ესწრაფვოდა პაპიზმი. ამ დოგმატის გამოცხადებამ თვით კათოლიკურ სამყაროში პროტესტი გამოიწვია. უფალმა სარწმუნოების საკითხებში შეუმცდარობა მიანიჭა მთელ ეკლესიას და არა რომელიმე ცალკეულ პიროვნებას. პავლე მოციქული ამბობს, რომ ეკლესია არის „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ (ტიმ. 3.15). „საქმე მოციქულთადას“ ჩანს, რომ მოციქულებმა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად კრება მოიწვიეს, რომელზეც ერთობით (და არა ცალკეული პიროვნებების ავტორიტეტით), დაამტკიცეს ეკლესიის სწავლება. თუკი სულიწმიდით აღვსებულ მოციქულებს სჭირდებოდათ ერთმანეთის აზრის გაზიარება, რაღა უნდა ვთქვათ რომის პაპებზე, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ. არ არსებობს ისეთი დანაშაული, რომის პაპებს რომ არ ჩაედინოთ: მკვლელობის ურიცხვი სახე, ღალატი, ასობით ქალწულის შეცდენა, მიცვალებულთა გასამართლება, სოდომური ცოდვა ბიჭუნებთან, სისხლის აღრევა, ვაჭრობა რითაც კი შეიძლება – სინდისით, ტიტულებით, ინდულგენციებით; კოცონზე ადამიანის დაწვა; ინკვიზიცია, ჯვაროსნული ლაშქრობები და მრავალი სხვა.

5. ცალკე უნდა ითქვას ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ. პაპმა ინოკენტი III-მ (1198-1216წწ) მოაწყო 4 ჯვაროსნული ლაშქრობა, აიღო და დაანგრია კონსტანტინოპოლი. 1212 წელს მოაწყო ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა – 30000 ბავშვს საფრანგეთიდან შეუერთდა 20000 ბავშვი გერმანიიდან. მათი უმრავლესობა დაიღუპა ალპებში, დაიხრჩო ზღვაში, გადარჩენილები კი ეგვიპტეში მონებად გაიყიდა. პაპი გრიგოლ IX (1227-1241წწ) – მისმა არმიამ მარტო ერთ სოფელში დახოცა 6000 ქრისტიანი გლეხი (ამასაც ჯვაროსნული ლაშქრობა ერქვა). პაპმა დალოცა ეს გამარჯვება. პაპის არმიამ - ჯვაროსნებმა – სასტიკად დაარბიეს წმინდა ათონის მთის მონასტრები და სავანეები, მათ შორის ქართველთა მონასტერი - ივერონი, დახოცეს მართლმადიდებელი ბერები, ცდილობდნენ რა ძალადობის გზით მიეღებინებინათ მათთვის პაპიზმი.

6. კათოლიციზმის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინკვიზიციას – საგანგებო საეკლესიო საგამოძიებო სასამართლოს. ინკვიზიცია XIII-ს-ში დაიწყო. დიდი ინკვიზიტორის ტორკვემადას დროს ცოცხლად დაწვეს 10000-ზე მეტი ადამიანი. ესპანეთში ინკვიზიციის პირველსავე წელს 1000-ზე მეტი ადამიანი ცოცხლად დაწვეს, აიყვანეს ემაფოტზე ან ნაჯახით მოჰკვეთეს თავი. 1492 წელს გადაასახლეს ყველა ებრაელი – 170000 ოჯახი—მილიონამდე კაცი. დაახლოებით, 3 მილიონი მავრი და ებრაელი. ინკვიზიციის ტრიბუნალის გენერალური ინსპექტორის ინსტრუქცია ასე თავდებოდა: გასრისეთ ყველა, ვისაც თქვენი ჯაშუშები მიგითითებენ – დამნაშავენი და უდანაშაულონი, რადგან ჯობს ასი უდანაშაულო დაახრჩო, ვიდრე ცოცხალი დატოვო თუნდაც ერთი დამნაშავე.

7. კათოლიკეთა სწავლება წმიდანთა ზეკმარი დამსახურებებისა და ინდულგენციების თაობაზე, რომელიც აღმოცენდა XIII-XIV საუკუნეებში, მიიჩნევს, რომ წმინდანებს იმაზე მეტი კეთილი საქმეები აქვთ გაკეთებული, ვიდრე ეს მათი სულების ხსნისათვის იყო საჭირო. ასე რომ, მათი მეტობა შეიქმს გარკვეულ “კეთილ საქმეთა საგანძურს” და პაპს უფლება აქვს, “მისცეს” ეს კეთილი საქმე ინდულგენციის სახით იმ ადამიანებს, რომელთაც კეთილ საქმეთა ნაკლებობა აქვთ. სხვა სიტყვებით, ინდულგენცია არის ცოდვილთა გათავისუფლება სასჯელისაგან წმინდანთა ზეჯეროვანი დამსახურებების ხარჯზე, მათი ცოდვების დაფარვით. თავდაპირველად ინდულგენცია ეძლეოდათ

ჯვაროსნულ ლაშქრობათა მონაწილეებს, ხოლო შემდეგ, იმ პირებს, რომელთაც ეკლესიის წინაშე რაიმე დამსახურება ჰქონდათ; შემდგომში ინდულგენციები ფულზე იყიდებოდა და “უცდომელი” პაპების შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. ინდულგენციები იყიდებოდა როგორც უკვე ჩაღვნილი, ასევე მომავალში ჩასადენი ცოდვების გამოსასყიდათ. ასე მაგალითად, ადამიანს შეეძლო წინასწარ გადაეხადა თანხა, ხოლო შემდეგ ჩაედინა ცოდვები, რასაც ეს თანხა ეყოფოდა. ამისათვის შუა საუკუნეებში კათოლიკურ ეკლესიას შემუშავებული ჰქონდა სპეციალური ნიხრები:

მოვიყვანთ ამ ნიხრის ზოგიერთ მუხლს:

1. კლირიკოსი მკვლელი შენდობას იღებს 27 ლირის გადახდით;
2. მამის, დედის ან დის მკვლელობისათვის შენდობის მისაღებად ცოდვილმა უნდა გადაიხადოს 17 ლირა, 14 სოლდი და 6 დინარი;
3. საკუთარი შვილის დამღრჩობი მამა ან დედა შენდობის მისაღებად იხდის 17 ლირას და 14 სოლდის;
4. ეპისკოპოსის მიერ განკვეთა გამოისყიდება 45 ლირად;
5. პაპის ანათემა გამოისყიდება 45 ლირად;
6. მკრეხელი, ქურდი, ხანძრის გამჩენი, მძარცველი და სხვა მსგავსნი – შენდობას იღებენ 136 ლირად და 6 სოლდად;
7. მონასტრის სიწმინდის “დაცვის მიზნით” მამრობითი სქესის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ მონასტერში შესვლა, მის ახლომხლო საკრავების დაკვრა. დამრღვევი 25 ოქროს იხდის;
8. მრუშობაში დაჭერილი მონაზონი 500 ლუკატს იხდის.

ინდულგენციები XVI საუკუნეში კათოლიკური ეკლესიის განხეთქილებისა და პროტესტანტიზმის აღმოცენების უშუალო მიზეზი გახდა. ამჟამად ინდულგენციები ეძლევათ მოწყალეების საქმეებში მონაწილეობისათვის, გარკვეული რაოდენობის ლოცვათა წაკითხვისათვის და ა.შ. აგრეთვე ეკლესიისათვის და ეკლესიის სხვადასხვა საჭიროებებზე ტარიფიცირებული შემოწირულობებისათვის.

პაპიზმის ცრუ სწავლებანი კიდევ მრავალს მოიცავს, მაგრამ ვფიქრობთ, მოყვანილიც საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ პაპისტური ეკლესიის ბოროტებასა და მწვალებლობაში.

ისტორიულად საქართველოსთვის დიდი იყო საცდური პაპიზმისკენ მიდრეკისა, რომელიც განასახიერებდა პოლიტიკურ სიძლიერესა და კეთილდღეობას, დღევანდელი გადასახედიდან კი ასევე - ცივილიზაციას, ჰუმანიზმსა და დემოკრატიას. ვინც მიზეზ-შედეგობრიობის თვალსაზრისით დაკვირვებით გაანალიზებს პაპიზმის წარმოშობის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს, ის აუცილებლად აღმოაჩენს ერთ კანონზომიერებას: ქვეყნის ხელისუფალთა თუ ეკლესიის მღვდელმთავართა მიდრეკას პაპიზმისაკენ უმაღლ მოწყვებოდა ხოლმე ურდოთა, უმეტესწილად, მაჰმადიანთა მიერ ქვეყნის დარბევა და დანაწევრება. იცოდა რა ღმერთმა ქართველთა მეტი სიმტკიცე გამოსულმანების წინააღმდეგ და ცოდვილი სისუსტე პაპიზმისაკენ მიდრეკილებისა, ღვთის დაშვებით საქართველო მოექცა მუსულმან სახელწიფოთა და ტომთა აგრესიულ გარემოცვაში, რაც იქცა გარკვეულ ფარად და ბარიერად პაპიზმის გავრცელებისა საქართველოში. ამგვარად ღვთის სასჯელში გამოვლინდა მისი წყალობა, - საქართველომ განვლო მოწამებრივი გზა მუსულმანობასთან ბრძოლაში იმის სანაცვლოდ, რომ შედარებით უმტკივნეულოდ, ქრისტიანობის სახელით ცდუნებულს, მიეღო პაპიზმის ერესი.

ცალკე საკითხია ის სიცრუე, რომლითაც პაპიზმის მისიონერები ცდილობდნენ საქართველოს მოსახლეობის ცდუნებას - ისინი პირდებოდნენ ახალმოქცეულებს თურქთა თავდასხმებისაგან დაცვას. თუ როგორ დაიცვა პაპმა და მისმა ქვეშევდომმა სახელმწიფოებმა საქართველო თურქთა თარეშისაგან, და რა გამოიტანა გაკათოლიკებულმა სულხან-საბამ იმ სახელგანთქმული ვერსალიდან, ეს საქართველოს ისტორიაში ზედმიწევნითაა ცნობილი.

ახლანდელი პაპიზმი – ეს არის ანტიქრისტიანული ნეოწარმართული რელიგია, რომელშიც ეთაყვანებიან პაპსა და კათოლიკეთა გამონაგონ ღმერთ-კერპებს. ქრისტიანული ფრაზეოლოგიის საფარქვეშ პაპიზმი მალულ ბრძოლას აწარმოებს ღმერთისა და მისი სიტყვის დამცველი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ; პაპიზმის მიზანია მსოფლიო უნივერსალური რელიგიის შექმნა, რომლის სათავეში პაპი იქნება, ხოლო მთავარი ამოცანა – შიგნიდან დაშლა და შთანთქმა მართლმადიდებლობისა, როგორც პაპის „სულიერი ბატონობის დამყარების გზაზე ძირითადი დაბრკოლებისა“. ამის ნათელი დასტურია ვატიკანის II კრებაზე (1962-65 წწ) მიღებული ღვთისმგმობი, ჭეშმარიტების უარყოფელი და ანტიმართლმადიდებლური სწავლებანი, რომლის მიხედვითაც ვატიკანმა: აღიარა ჭეშმარიტ “ცხოველ-შემოქმედად” არაიპოსტასური ღმერთ-კერპები; გააიგივა წარმართთა “უმაღლესი ღვთაება” მამა ღმერთთან და მამა ღმერთი ძისაგან და სულიწმიდისაგან დამოუკიდებლად მიიჩნია; განავრცო კაცთა მოდემის მსაჯულის ფუნქცია ალაპზე; გაუთანაბრა წარმართობის დემონური შემოქმედება სულიწმიდის მადლსა და ქმედებას; გამოაცხადა ცხონების შესაძლებლობა ქრისტეს გარეშე. ვატიკანის მიერ შექმნილმა ბიბლიურმა კომისიამ, რომელშიც იუდეველებიც შედიოდნენ, განაცხადა, რომ იგი, და მამასადამე ვატიკანი, უარყოფითად უყურებს ახალი აღქმის ზოგიერთ ნაწილს და ბოდიშს უხდის იუდეველებს, ამასთან იუდეველები ტყველად არ ელიან მესიას, რასაც უზარმაზარი სულიერი მნიშვნელობა აქვს და ა.შ.

თანამედროვე მსოფლიოში პაპიზმი თამაშობს მეწინავე როლს ეკუმენისტურ მოძრაობაში, რომლის მიზანია ანტიქრისტიანული ტანტრეკანის გამზადება. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და ვატიკანის ჭეშმარიტი მიზნები და ამოცანები ერთი და იგივეა: შეიქმნას მსოფლიო უნივერსალური წარმართული რელიგია და ანტიქრისტეს ეკლესია, მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მართლმადიდებლობის ერთიანობის დარღვევა და მოშლა, მისი მწვალებლობასა და წარმართობაში განზავება-გათქვეფა და თავისთვის დამორჩილება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ერთ შემთხვევაში ამისკენ მიისწრაფის საბჭო, ხოლო მეორე შემთხვევაში – პაპი.

ბოლო პერიოდში გაძლიერდა ვატიკანის ემისართა საქმიანობა საქართველოში, არის მცდელობა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე მოიპოვონ პრივილეგირებული უფლებები თავის მწვალებლობის გასავრცელებლად და მართლმადიდებელთა სულების წარსაწყმედად. ჩვენ არავის მოვუწოდებთ კათოლიკეთა წინააღმდეგ ძალადობისაკენ: ინკვიზიცია ეწინააღმდეგება ქრისტიანობის სულს. პირიქით, ჩვენ კათოლიკეებს უნდა მოვეპყროთ თანაგრძნობითა და გულშემატკივრობით, ვილოცოთ მათთვის, როგორც ქრისტიანული სარწმუნოებიდან მოწყვეტილ კერპთაყვანის-მცემელთათვის – პაპიზმის მსხვერპლთათვის, და თუ ღვთის ნება იქნება, ვეცადოთ განვუმარტოთ მათ მათი ცდომილება „სულითა მით მშვიდობისაჲთა“ (გალ. 6.1), გვახსოვდეს მოციქულის დარიგება: „სიბრძნით იქცეოდეთ გარეშეთა მიმართ“ (კოლ. 4.5.), ჩვენ უნდა დავეხმაროთ ლათინებს, რათა ისინი დაუბრუნდნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას. მაგრამ, ამავე დროს უნდა განვეკრძალოთ მათ - არ შეიძლება მართლმადიდებელი დადიოდეს კათოლიკურ ეკლესიაში სალოცავად, ეზიაროს კათოლიკურ “საიდუმლოებს” ან მონაწილეობა მიიღოს მათთან ერთად ტაძრის გარეთ ლოცვებში. თუ ვინმე ილოცებს უზიარებელთან ერთად, თუნდაც სახლში, ისიც უზიარებელი უნდა გახდეს (წმ. მოციქულთა კანონები, 10).

ძვირფასო თანამემამულენო, მართლმადიდებლებო. ნუ დაუშვებთ პაპიზმის აგრესიას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, ნუ ცდუნდებით პაპისტების მიერ შეპირებული კეთილდღეობითა და პოლიტიკური მფარველობით, ნუ გაყიდით სულს 30 ვერცხლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ღვთის რისხვა არ ასცდება ჩვენს ქვეყანას, ქართველ ერს, რომელმაც შვა ამდენი ჭეშმარიტებისთვის მოწამე წმინდანი, დაიცვა და დღემდე შეინარჩუნა ჭეშმარიტი ეკლესია და ჭეშმარიტი სწავლება სულის ცხონების შესახებ. ნუ შედრკებით ძმანო და დანო, ვინაიდან ჭეშმარიტი ღმერთის მსასოებელ ერს ღმერთი არ დატოვებს ნუგემისა და წყალობის გარეშე.